

საქართველოს კანონი

“საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ” საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ” საქართველოს კანონში (გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტის უწყებები 1995 წელი - №23-26) შეტანილი იქნას შემდეგი დამატებები:

1. მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) კატეგორია “GC”-ს (შავ ან ფოლადსასხმელ წარმოებაში მიღებული გრანულირებული წიდა);“

2. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოს ტერიტორიაზე ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი შესაძლებელია ბაზელის კონვენციით გათვალისწინებული წინასწარი თანხმობისა და ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის სპეციალური დოკუმენტების გარეშე“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ სააკაშვილი